



სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

საბაკალავრო პროგრამა

Bachelor's program

ბიზნესის ადმინისტრირება

Business Administration

თბილისი

2021

პროგრამის აღწერილობა

პროგრამის დასახელება (ქართულად და ინგლისურად)	ბიზნესის ადმინისტრირება Business Administration
მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად)	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი Bachelor of Business Administration
პროგრამის მოცულობა კრედიტებით და მათი განაწილება	240 კრედიტი: თავისუფალი კომპონენტის სასწავლო კურსები - 60 კრედიტი (მათ შორის სავალდებულო - 50 კრედიტი, არჩევითი - 10 კრედიტი) ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსები - 120 კრედიტი, მათ შორის: ა) ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კურსები - 90 კრედიტი ბ) ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები - 30 კრედიტი დამატებითი პროგრამა - 60 კრედიტი¹
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები /კოორდინატორი	ხელმძღვანელები: პროფესორი ნუგზარ თოდუა პროფესორი ირაკლი კოვზანაძე პროფესორი დავით ნარმანია პროფესორი ლევან საბაური პროფესორი დემურ სიჭინავა პროფესორი თემურ შენგელია პროფესორი იოსებ ხელაშვილი პროფესორი გიორგი ღაღანიძე ასოცირებული პროფესორი ეკა ჩოხელი ასოცირებული პროფესორი ნატალია ხარაძე ასოცირებული პროფესორი ნუგზარ პაიჭაძე ასოცირებული პროფესორი ვასილ კიკუტაძე
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს: ➤ სრული ზოგადი განათლების მქონე პირი, რომელმაც წარმატებით ჩააბარა ერთიანი ეროვნული გამოცდები; ➤ ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში დასაშვებია:

¹ სტუდენტს შესაძლებლობა აქვს დამატებითი პროგრამის შესრულების ნაცვლად 60 კრედიტი შეავსოს დამატებით თავისუფალი კომპონენტის არჩევითი კურსებით.

	✓ უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება; ✓ საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში; ✓ პირებისათვის, რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. - ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბაკალავრიატის სტუდენტი გარე ან შიდა მობილობის გზით.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება ბიზნესის ადმინისტრირების მრავალმხრივი მიმართულებით, რომლებიც ბიზნეს-პროცესებისა და ორგანიზაციების ეფექტიან მართვას შეძლებენ, ექნებათ მმართველობითი საქმიანობის თეორიული და პრაქტიკული ასპექტების საფუძვლიანი ცოდნა და პროფესიული კარიერისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევები. მიზნები: • კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება ბიზნესის ადმინისტრირების მრავალმხრივი მიმართულებით, რომლებიც ბიზნეს-პროცესებისა და ორგანიზაციების ეფექტიან მართვას შეძლებენ; • მმართველობითი საქმიანობის თეორიული და პრაქტიკული ასპექტების შესახებ საფუძვლიანი ცოდნის გადაცემა; • გამოუმუშაოს კურსდამთავრებულს პროფესიული კარიერისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევები. ბიზნესის ადმინისტრირების დამატებითი სპეციალობის პროგრამის მიზანია გააცნოს სტუდენტებს ბიზნესის ფუნქციონირების ძირითადი პრინციპები და გამოუმუშაოს მათ საბაზრო გარემოში მიმდინარე პროცესების ანალიზისა და გადაწყვეტილებების მიღების უნარები, რაც ხელს შეუწყობს მათ კონკურენტუნარიანობის ზრდას შრომის ბაზარზე.

სწავლის შედეგები ²	საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებული: ცოდნა და გაცნობიერება • განსაზღვრავს ბიზნესის მართვის თანამედროვე თეორიებს, კონცეფციებს და პრინციპებს; • აღწერს ბიზნესის დაგეგმვის ეტაპებს და ბიზნესის გარემოზე მოქმედ ფაქტორებს; • განიხილავს ბიზნესის პროცესებისათვის დამახასიათებელ თავისებურებებს; • დეტალურად ხსნის ბიზნესის გარემოში მიმდინარე მოვლენებს კრიტიკული გააზრებისა და ცოდნის უახლესი ასპექტების გათვალისწინებით. უნარები • იყენებს ბიზნესისათვის დამახასიათებელ თეორიულ და პრაქტიკულ სიტუაციებს რთული და გაუთვალისწინებელი პრობლემების დასადგენად; • აანალიზებს ბიზნესის სიტუაციებს კვლევის სტანდარტული ან ზოგიერთი უახლესი მეთოდის გამოყენებით; • ამზადებს წინადადებებს ბიზნესის ფუნქციურ სფეროებთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრისა და გამოვლენილი რისკების მართვის უზრუნველყოფისთვის; • აკეთებს დასაბუთებულ დასკვნებს ბიზნესის სიტუაციების შეფასებისას, როგორც დამოუკიდებლად, ასევე თანამშრომლობის პრინციპების გათვალისწინებით; • ახდენს საკუთარი კვლევითი პროექტის (პრაქტიკული ხასიათის ნაშრომის) შესახებ სპეციალისტებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ინფორმირებას კომუნიკაციის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით. პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა • ბიზნესის საქმიანობას ეწევა ეთიკის ნორმების, სოციალური პასუხისმგებლობისა და მდგრადი განვითარების პრინციპების დაცვით; პროფესიული ზრდის მიზნების შესაბამისად ადგენს საკუთარი შემდგომი სწავლის საჭიროებას და მიმართულებებს.
სწავლის შედეგები (დამატებითი სპეციალობა) ³	პროგრამის დამატებითი პროგრამის (სპეციალობის) კურსდამთავრებული: ცოდნა და გაცნობიერება • აღწერს ბიზნესის მართვის ძირითად თეორიებს, კონცეფციებს და

² მოდულების სწავლის შედეგები იხ. დანართში

³ ორივე დამატებითი სპეციალობისთვის ერთნაირია

	ბიზნესის გარემოზე მოქმედ ფაქტორებს; • განიხილავს ბიზნესის გარემოში მიმდინარე მოვლენებს, თავისებურებებს, ფაქტებს კრიტიკული გააზრებისა და ცოდნის უახლესი ასპექტების გათვალისწინებით. უნარები • იყენებს ბიზნესის საქმიანობისათვის დამახაიათებელ თეორიულ და პრაქტიკულ მიდგომებს ორგანიზაციების წინაშე არსებული პრობლემების გამოვლენისა და გადაჭრისათვის; • კვლევის სტანდარტული აპრობირებული და თანამედროვე მეთოდების გამოყენებით ანალიზებს ბიზნესის სიტუაციებს დასაბუთებული დასკვნებისა და არგუმენტირებული წინადადებების მოსამზადებლად. პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა • ადგენს საკუთარი შემდგომი სწავლის საჭიროებებს, აგრეთვე, პროფესიული განვითარების დაგეგმვისა და განხორციელების გზებს. ბიზნესის ადმინისტრირების დამატებითი სპეციალობის პროგრამის მიზანია გააცნოს სტუდენტებს ბიზნესის ფუნქციონირების ძირითადი პრინციპები და გამოუმუშაოს მათ საბაზრო გარემოში მიმდინარე პროცესების ანალიზისა და გადაწყვეტილებების მიღების უნარები, რაც ხელს შეუწყობს მათ კონკურენტუნარიანობის ზრდას შრომის ბაზარზე.
სწავლა-სწავლების მეთოდები	• ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი • წერიტი მუშაობის მეთოდი • ჯგუფური მუშაობა • დისკუსია/დებატები • ახსნა-განმარტებითი მეთოდი • თანამშრომლობითი სწავლება • პროექტი/რეფერატი • პრეზენტაცია • დემონსტრირების მეთოდი • გონებრივი იერიში • შემთხვევის ანალიზი • საექსპერტო შეფასებისა და სხვ. მეთოდი
შეფასების სისტემა	შეფასების სისტემა ითვალისწინებს: (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა; (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

	(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა. ორი სახის უარყოფითი შეფასება: (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია დამატებითი გამოცდა დანიშნოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. შეფასების ფორმები შედგება შუალედური და დასკვნითი შეფასებებისაგან. შეფასებებში განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვრები და იგი ასახულია სასწავლო კურსების სილაბუსებში. შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები განსაზღვრულია თითოეული კურსის სილაბუსში.
დასაქმების სფეროები	ეკონომიკის ნებისმიერი სექტორის სხვადასხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის კომერციული ორგანიზაციები, საწარმოები (ფირმები), არაკომერციული ორგანიზაციები და გაერთიანებები, საერთაშორისო ორგანიზაციები, ტრანსნაციონალური კორპორაციები და მათ ფილიალები, სახელმწიფო ცენტრალურ და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები. სწავლების პერიოდში მიღებული ცოდნა საშუალებას მისცემს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრები წარმატებით იმუშაონ ქვედა და საშუალო რგოლის მენეჯერებად.
სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა	საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია გააგრძელოს სწავლება მაგისტრატურის ხარისხის მოსაპოვებლად, კერძოდ, სწავლა გააგრძელოს ეკონომიკის ან მომთხრობის სამაგისტრო პროგრამით, რომელიც ორიენტირებულია შემდგომი დონის სპეციალისტის მომზადებაზე.
სწავლის საფასური ქართველი და უცხოელი სტუდენტებისათვის	სწავლების საფასური შეადგენს 2250 ლარს წელიწადში საქართველოს მოქალაქეებისათვის. სწავლის საფასური უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის განისაზღვრება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, საქართველოს

	ხელისუფლების მიერ დადებული და რატიფიცირებული შეთანხმებების მიხედვით.
პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსი	პროგრამა სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების შესაბამისად უზრუნველყოფილია მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალით, ასევე, მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით. სტუდენტთა განკარგულებაშია ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის (თსუ, X - მაღლივი კორპუსი) მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და არსებული რესურსები, მათ შორის: ბიბლიოთეკა, საპრეზენტაციო პროექტორით აღჭურვილი აუდიტორიები, კომპიუტერული ლაბორატორიები, რესურს-ცენტრები, სტუდენტთა მომსახურების ცენტრი და სხვ. სტუდენტთათვის გათვალისწინებულია შესაბამისი რაოდენობით კომპიუტერული ტექნიკა.
პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა	პროგრამის ფინანსური მდგრადობა უზრუნველყოფილია ფაკულტეტისა და პროგრამის ბიუჯეტით.
დამატებითი ინფორმაცია (საჭიროების შემთხვევაში)	

პროგრამის სტრუქტურა

ფაკულტეტი: *ეკონომიკა და ბიზნესი*

ინსტიტუტი / დეპარტამენტი / კათედრა / მიმართულება: *ბიზნესის ადმინისტრირება*

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: *ბიზნესის ადმინისტრირება*

სწავლების საფეხური: *ბაკალავრიატი*

კრედიტების რაოდენობა: *240 ECTS*

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელები: პროფესორი გიორგი ღაღანიძე, პროფესორი ნუგზარ თოდუა, პროფესორი ირაკლი კოვზანაძე, პროფესორი დავით წარმანია, პროფესორი ლევან საბაური, პროფესორი დემურ სიჭინავა, პროფესორი თემურ შენგელია, პროფესორი იოსებ ხელაშვილი, ასოცირებული პროფესორი ნუგზარ პაიჭაძე, ასოცირებული პროფესორი ნატალია ხარაძე, ასოცირებული პროფესორი ეკა ჩოხელი, ასოცირებული პროფესორი ვასილ კიკუტაძე

აკადემიური საბჭოს მიერ სასწავლო პროგრამის დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი: თსუ აკადემიური საბჭოს 29 ივნისის 2011 წლის დადგენილება №57, დანართი 78, <https://www.tsu.ge/ka/legalakad/40134>

სასწავლო პროგრამის ამოქმედების თარიღი (სასწავლო წელი): **2011-2012**

№№	სასწავლო კურსის სახელწოდება	სტატუსი	ECTS	სტუდენტის საათობრივი დატვირთვა				სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობა	სწავლების სემესტრი								ავტორი / ავტორები
				საკონტაქტო		დამოუკიდებელი	სულ		1	2	3	4	5	6	7	8	
				ლექცია	სემინარი/ პრაქტიკული												
თავისუფალი კომპონენტის სასწავლო კურსები: სულ 60 კრედიტი მათ შორის სავალდებულო - 50 კრედიტი, არჩევითი - 10 კრედიტი									20	20	10	5	5				
თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსები: სულ - 50 კრედიტი									15	20	10	5					
1	უცხო ენა 1	სავალდებულო	5	0	90	35	125	წინაპირობის გარეშე	5								თსუ ენების ცენტრის ლექტორები
2	უცხო ენა 2	სავალდებულო	5	0	90	35	125	უცხო ენა 1		5							თსუ ენების ცენტრის ლექტორები
3	უცხო ენა 3	სავალდებულო	5	0	90	35	125	უცხო ენა 2			5						თსუ ენების ცენტრის ლექტორები
4	უცხო ენა 4	სავალდებულო	5	0	90	35	125	უცხო ენა 3				5					თსუ ენების ცენტრის ლექტორები
5	მათემატიკა ეკონომიკისა და ბიზნესისთვის 1	სავალდებულო	5	30	30	65	125	წინაპირობის გარეშე	5								ო. ფურთუხია; უ. გოგინავა; აღ. აპლაკოვი
6	ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკის საფუძვლები	სავალდებულო	5	30	30	65	125	მათემატიკა ეკონომიკისა და ბიზნესისთვის		5							ო. ფურთუხია
7	მიკროეკონომიკის პრინციპები	სავალდებულო	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე	5								ე. მექვაბიშვილი; მ. ნაცვალაძე
8	მაკროეკონომიკის პრინციპები	სავალდებულო	5	15	30	80	125	მიკროეკონომიკის პრინციპები		5							ე. მექვაბიშვილი; მ. ნაცვალაძე
9	სტატისტიკა ეკონომიკისა და ბიზნესისთვის 1	სავალდებულო	5	30	30	65	125	წინაპირობის გარეშე		5							ს. გელაშვილი; ნ. აბესაძე

10	სტატისტიკა ეკონომიკისა და ბიზნესისთვის 2	სავალდებულო	5	30	30	65	125	სტატისტიკა ეკონომიკისა და ბიზნესისთვის 1			5					ს. გელაშვილი; მ. მინდორაშვილი; მ. ხმაღაძე; ნ. აბესაძე
თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსები: სულ 10 კრედიტი									5				5			
სტუდენტს შეუძლია აირჩიოს სხვადასხვა ფაკულტეტიდან ნებისმიერი სასწავლო კურსი, მათ შორის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის შემდეგი ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი არჩევითი კურსები																
1	ლიდერობა - მართვის ხელოვნება	არჩევითი	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე					5			ნ. ხარაძე; ე. გულუა
2	C++ პროგრამირება ეკონომიკასა და ბიზნესში	არჩევითი	5	15	30	80	125	ინფორმატიკა ეკონომიკასა და ბიზნესში; მათემატიკა ეკონომიკისა და ბიზნესისთვის 1; სტატისტიკა ეკონომიკისა და ბიზნესისთვის 1;					5			დ. სიჭინავა; რ. ბერაძე
3	ფინანსური ანგარიშგება	არჩევითი	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე					5			ნ. კვატაშიძე
4	ბუღალტრული აღრიცხვის კომპიუტერული პროგრამა „ზალანსი“	არჩევითი	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე					5			ნ. სრესელი
5	შიდა აუდიტი	არჩევითი	5	15	30	80	125	შესავალი ფინანსურ აღრიცხვაში					5			ლ. საბაური
6	მმართველობითი ანალიზი (გათვალისწინებული არ არის „აღრიცხვის, ანალიზისა და აუდიტის“ მოდულის სტუდენტებისთვის)	არჩევითი	5	15	30	80	125	შესავალი ფინანსურ აღრიცხვაში					5			მ. ჯიქია
7	აკადემიური წერა	არჩევითი	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე	5							გ. შაბაშვილი
8	მათემატიკა ეკონომიკისა და ბიზნესისთვის 2	არჩევითი	5	30	30	65	125	მათემატიკა ეკონომიკისა და ბიზნესისთვის 1					5			ო. ფურთუხია; უ. გოგინავა; ვ. აპლაკოვი
9	კროს-კულტურული ურიერთობები საერთაშორისო ბიზნესში	არჩევითი	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე					5			თ. შენგელია; ხ. ბერიშვილი; ბ. გასვიანი
10	საერთაშორისო ბიზნესის მართვა	არჩევითი	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე					5			ხ. ბერიშვილი
11	ოპერაციათა მენეჯმენტი (Operations management)	არჩევითი	5	15	30	80	125	ინგლისური ენა B2					5			ე. ჩოხელი

12	საერთაშორისო მენეჯმენტი (International management)	არჩევითი	5	15	30	80	125	ინგლისური ენა B2					5				დ. ნარმანია; ე. ჩოხელი; დ. წიქარაძე
13	ლიდერობა (Leadership)	არჩევითი	5	15	30	80	125	ინგლისური ენა B2	5								ნ. ხარაძე; ე. გულუა
14	ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრები (Financial Markets and Institutions)	არჩევითი	5	15	30	80	125	ინგლისური ენა B2	5								თ. გამსახურდია
15	კორპორაციათა ფინანსები (Corporate Finance)	არჩევითი	5	15	30	80	125	ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრები; ინგლისური ენა B2					5				თ. კბილაძე
16	საჯარო ფინანსები (Public Finance)	არჩევითი	5	15	30	80	125	ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრები; ინგლისური ენა B2					5				თ. კასრაძე
17	მარკეტინგის პრინციპები (Principles of Marketing)	არჩევითი	5	15	30	80	125	ინგლისური ენა B2	5								ნ. თოდუა; ჩ. ჯაში
18	ინფორმატიკა ეკონომიკასა და ბიზნესში (Informatics in Economics and Business)	არჩევითი	5	0	45	80	125	ინგლისური ენა B2	5								დ. სიჭინავა; რ. სეთურაძე; თ. მელქიშვილი; თ. მუნჯიშვილი; მ. ტიკიშვილი
ბირთვადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსები: სულ 120 კრედიტი. მათ შორის სავალდებულო - 90 კრედიტი, არჩევითი მოდული - 30 კრედიტი									10	10	10	15	15	20	20	20	
ბირთვადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები: სულ 90 კრედიტი									10	10	10	15	15	20	5	5	
1	ინფორმატიკა ეკონომიკასა და ბიზნესში	სავალდებულო	5	0	45	80	125	წინაპირობის გარეშე	5								დ. სიჭინავა; რ. სეთურაძე; თ. მელქიშვილი; თ. მუნჯიშვილი; მ. ტიკიშვილი
2	ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები 1 (ბიზნესის გარემო)	სავალდებულო	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე	5								თ. შენგელია
3	ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები 2 (ბიზნესის ორგანიზაცია)	სავალდებულო	5	15	30	80	125	ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები 1 (ბიზნესის გარემო)		5							თ. შენგელია
4	შესავალი ფინანსურ აღრიცხვაში	სავალდებულო	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე		5							ლ. საბაური

5	ფინანსური აღრიცხვა	სავალდებულო	10	30	60	160	250	შესავალი ფინანსური აღრიცხვაში			10					ლ. საბაური
6	მენეჯმენტის საფუძვლები	სავალდებულო	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე			5					დ. წარმანია; ე. ჩოხელი
7	მარკეტინგი 1	სავალდებულო	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე			5					ნ. თოდუა
8	მარკეტინგი 2	სავალდებულო	5	15	30	80	125	მარკეტინგი 1				5				ნ. თოდუა
9	საერთაშორისო მარკეტინგი	სავალდებულო	5	15	30	80	125	მარკეტინგი 1					5			ნ. თოდუა
10	ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრები	სავალდებულო	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე			5					ა. ჩუთლაშვილი; ბ. ბარბაქაძე
11	საჯარო ფინანსები	სავალდებულო	5	15	30	80	125	ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრები				5				მ. ჩიკვილაძე; ი. არჩვაძე
12	კორპორაციული ფინანსები	სავალდებულო	5	15	30	80	125	ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრები					5			ხ. ბარბაქაძე
13	ოპერაციითა მენეჯმენტი	სავალდებულო	5	15	30	80	125	მენეჯმენტის საფუძვლები				5				ე. ჩოხელი; ბ. რამიშვილი
14	ადამიანური რესურსების მართვა	სავალდებულო	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე					5			ნ. პაიჭაძე; ნ. ხარაძე
15	ბიზნესის სამართალი	სავალდებულო	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე					5			გ. კიკილაშვილი
16	საერთაშორისო ბიზნესი	სავალდებულო	5	15	30	80	125	ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები 2 (ბიზნესის ორგანიზაცია)						5		თ. შენგელია; უ. სამადაშვილი; ხ. ბერიშვილი
17	პრაქტიკა	სავალდებულო	5	75		50	125	პროგრამის სასწავლო კურსებიდან 200 კრედიტის დაგროვება (სტუდენტი უნდა იყოს დამამთავრებელ სემესტრში); შესაბამისი მოდულის 10 კრედიტი.							5	ნ. თოდუა; ლ. ქადაგიშვილი

მირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები: სულ 30 კრედიტი სასწავლო კურსები დაჯგუფებულია მოდულებად. სტუდენტი ირჩევს ერთ მათგანს ჩამოთვლილთაგან: 1. აღრიცხვა, ანალიზი და აუდიტი 2. მარკეტინგი 3. მენეჯმენტი 4. საჯარო მმართველობა 5. ფინანსები და საბანკო საქმე 6. ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი 7. საერთაშორისო ბიზნესი 8. ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტი 9. გლობალურ გარემოში მენეჯმენტი 10. ადამიანური რესურსების მართვა															15	15	
მოდული: აღრიცხვა, ანალიზი, აუდიტი															15	15	
1	ბუღალტრული აღრიცხვა კომერციულ ბანკებში	სავალდებულო	5	15	30	80	125	შესავალი ფინანსურ აღრიცხვაში							5		ი. ჭილაძე
2	ბუღალტრული აღრიცხვა საჯარო სამართლის სუბიექტებში	სავალდებულო	5	15	30	80	125	შესავალი ფინანსურ აღრიცხვაში							5		მ. ვარდიაშვილი
3	პროფესიონალი ბუღალტრისა და აუდიტორის ეთიკა	სავალდებულო	5	15	30	80	125	შესავალი ფინანსურ აღრიცხვაში							5		ლ. საბაური
4	ეკონომიკური ანალიზი	სავალდებულო	5	15	30	80	125	შესავალი ფინანსურ აღრიცხვაში								5	მ. ჯიქია
5	აუდიტის საფუძვლები	სავალდებულო	5	15	30	80	125	შესავალი ფინანსურ აღრიცხვაში								5	ნ. სრესელი
6	მმართველობითი აღრიცხვა I	სავალდებულო	5	15	30	80	125	შესავალი ფინანსურ აღრიცხვაში								5	ი. ჭილაძე
მოდული: მარკეტინგი															15	15	

1	მარკეტინგული კვლევის პრინციპები	სავალდებულო	5	15	30	80	125	მარკეტინგი 1; ან მარკეტინგის საფუძვლები (ტურიზმის საბაკალავრო პროგრამისთვის)							5		ე. უროტაძე
2	ტურიზმისა და მასპინძლობის მარკეტინგი	სავალდებულო	5	15	30	80	125	მარკეტინგი 1; ან მარკეტინგის საფუძვლები (ტურიზმის საბაკალავრო პროგრამისთვის)							5		ნ. თოდუა; მ. სეთური
3	ინტერნეტ-მარკეტინგი	სავალდებულო	5	15	30	80	125	მარკეტინგი 1; ან მარკეტინგის საფუძვლები (ტურიზმის საბაკალავრო პროგრამისთვის)							5		ნ. თოდუა
4	რეკლამა	სავალდებულო	5	15	30	80	125	მარკეტინგი 1; ან მარკეტინგის საფუძვლები (ტურიზმის საბაკალავრო პროგრამისთვის)								5	ჩ. ჯაში
5	საცალო ვაჭრობა	სავალდებულო	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე								5	ნ. თოდუა; ბ. მღებრიშვილი
6	გაყიდვების საფუძვლები	სავალდებულო	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე								5	ნ. თოდუა; მ. სეთური
მოდული: მენეჯმენტი															15	15	
1	პრაქტიკული მენეჯმენტი	სავალდებულო	5	15	30 (26+4)	80	125	წინაპირობის გარეშე							5		ე. ჩოხელი
2	საზოგადოებრივი ადმინისტრირება	სავალდებულო	5	15	30	80	125	მენეჯმენტის საფუძვლები							5		ვ. კიკუტაძე
3	საერთაშორისო მენეჯმენტი	სავალდებულო	5	15	30	80	125	მენეჯმენტის საფუძვლები							5		დ. წარმანია; ე. ჩოხელი
4	სტრატეგიული მენეჯმენტის საფუძვლები	სავალდებულო	5	15	30	80	125	მენეჯმენტის საფუძვლები								5	ე. ჩოხელი

5	პროექტების მართვა	სავალდებულო	5	15	30	80	125	მენეჯმენტის საფუძვლები							5	გ. ქემლაშვილი; გ. შიხაშვილი; ვ. კიკუტაძე
6	ორგანიზაციული ქცევის მართვა	სავალდებულო	5	15	30	80	125	მენეჯმენტის საფუძვლები							5	მ. ნიკვაშვილი
მოდული: საჯარო მმართველობა														15	15	
1	საზოგადოებრივი ადმინისტრირება	სავალდებულო	5	15	30	80	125	მენეჯმენტის საფუძვლები						5		ვ. კიკუტაძე
2	საჯარო ორგანიზაციების მართვის საფუძვლები	სავალდებულო	5	15	30	80	125	მენეჯმენტის საფუძვლები						5		მ. ხარხელი
3	ორგანიზაციული ქცევის მართვა	სავალდებულო	5	15	30	80	125	მენეჯმენტის საფუძვლები						5		მ. ნიკვაშვილი
4	სახელმწიფო მართვის საფუძვლები	სავალდებულო	5	15	30	80	125	მენეჯმენტის საფუძვლები						5		დ. წარმანია; ვ. კიკუტაძე
5	სტრატეგიული მენეჯმენტის საფუძვლები	სავალდებულო	5	15	30	80	125	მენეჯმენტის საფუძვლები						5		ე. ჩოხელი
6	პროექტების მართვა	სავალდებულო	5	15	30	80	125	მენეჯმენტის საფუძვლები						5		გ. ქემლაშვილი; ვ. კიკუტაძე; გ. შიხაშვილი
მოდული: ფინანსები და საბანკო საქმე														15	15	
1	საბანკო საქმე 1	სავალდებულო	5	15	30	80	125	ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრები						5		ი. კოვზანაძე
2	საბანკო საქმე 2	სავალდებულო	5	15	30	80	125	საბანკო საქმე 1						5		ი. კოვზანაძე
3	საერთაშორისო ფინანსები	სავალდებულო	5	15	30	80	125	ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრები						5		თ. გამსახურდია
4	სადაზღვევო საქმე	სავალდებულო	5	15	30	80	125	ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრები						5		ნ. კაკაშვილი
5	გადასახადები და დაბეგვრა	სავალდებულო	5	15	30	80	125	ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრები						5		მ. ჩიკვილაძე

6	ფასიანი ქაღალდების ბაზარი	სავალდებულო	5	15	30	80	125	ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრები								5	თ. კასრაძე
მოდული: ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი																15	15
1	შესავალი ტურიზმში	სავალდებულო	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე								5	ნ. კაციტაძე
2	ტურიზმის ეკონომიკა	სავალდებულო	5	15	30	80	125	მაკროეკონომიკის პრინციპები								5	მ. ხოხობაია
3	საერთაშორისო ტურიზმი	სავალდებულო	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე								5	ვ. არღუთაშვილი; მ. ხოხობაია
4	შესავალი მასპინძლობის მენეჯმენტში	სავალდებულო	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე								5	ნ. კაციტაძე
5	ტურიზმის დაგეგმვა და მენეჯმენტი	სავალდებულო	5	15	30	80	125	შესავალი ტურიზმში								5	ვ. არღუთაშვილი
6	საოჯახო ბიზნესის მართვა ტურიზმში	სავალდებულო	5	15	30	80	125	შესავალი ტურიზმში								5	ვ. არღუთაშვილი
მოდული: საერთაშორისო ბიზნესი																15	15
1	ევროკავშირის ბიზნესის გარემო	არჩევითი	5	15	30	80	125	ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები 1 (ბიზნესის გარემო)								5	დ. მახვილაძე
2	საქმიანი თამაშები	არჩევითი	5	15	30	80	125	ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები 1 (ბიზნესის გარემო)									ჟ. თოლორდავა
3	საერთაშორისო ბიზნესის რეგულირება	სავალდებულო	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე								5	თ. შენგელია; ლ. ხიხაძე
4	საერთაშორისო ბიზნესის უსაფრთხოება	სავალდებულო	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე								5	თ. შენგელია; ბ. გასვიანი
5	საერთაშორისო ბიზნესის მართვა	სავალდებულო	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე								5	ხ. ბერიშვილი

6	ორგანიზაციის თეორია	სავალდებულო	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე								5	ლ. ქადაგიშვილი
7	კროს-კულტურული ურთიერთობები საერთაშორისო ბიზნესში	სავალდებულო	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე								5	თ. შენგელია; ხ. ბერიშვილი; ბ. გასვიანი
მოდული: ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტი																15	15
1	ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამება VB.NET	სავალდებულო	5	15	30	80	125	ინფორმატიკა ეკონომიკასა და ბიზნესში								5	თ. მუნჯიშვილი
2	საინფორმაციო სისტემები და ტექნოლოგიები ბიზნესში	სავალდებულო	5	15	30	80	125	ინფორმატიკა ეკონომიკასა და ბიზნესში								5	მ. მადრაძე
3	ეკონომიკური საინფორმაციო სისტემების თეორია და დაპროექტება	სავალდებულო	5	15	30	80	125	ინფორმატიკა ეკონომიკასა და ბიზნესში								5	ე. ლაგვილავა
4	ბიზნეს მონაცემთა ანალიზის Excel-ის გარემოში	სავალდებულო	5	15	30	80	125	ინფორმატიკა ეკონომიკასა და ბიზნესში								5	დ. სიჭინავა; თ. მუნჯიშვილი; რ. სეთურიძე
5	ეკონომიკასა და ბიზნესში მონაცემთა ბაზების დაპროექტება და მართვა	სავალდებულო	5	15	30	80	125	ინფორმატიკა ეკონომიკასა და ბიზნესში								5	თ. მელქიშვილი
6	ფირმის მონაცემების ელექტრონული დამუშავება	სავალდებულო	5	15	30	80	125	ინფორმატიკა ეკონომიკასა და ბიზნესში								5	მ. მადრაძე
მოდული: გლობალურ გარემოში მენეჯმენტი																15	15
1	კულტურის სფეროს მენეჯმენტი გლობალიზაციის პირობებში	არჩევითი	5	15	30	80	125	მენეჯმენტის საფუძვლები								5	მ. ტულუში
2	გლობალური ტალანტ-მენეჯმენტი	არჩევითი	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე									ნ. ხარაძე; დ.ფირცხალაიშვილი
3	ორგანიზაციული ქცევა	სავალდებულო	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე								5	ნ. ფარესაშვილი
4	კარიერის მართვა	სავალდებულო	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე								5	ნ. ხარაძე; დ.ფირცხალაიშვილი

5	კროს-კულტურული მენეჯმენტი	სავალდებულო	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე								5	ნ. ფარესაშვილი
6	სტრატეგიული მენეჯმენტის საფუძვლები	სავალდებულო	5	15	30	80	125	მენეჯმენტის საფუძვლები								5	გ. ლაღანიძე; ბ. რამიშვილი
7	მიწოდების ჯაჭვის მართვა გლობალურ გარემოში	სავალდებულო	5	15	30	80	125	მენეჯმენტის საფუძვლები								5	ბ. რამიშვილი
მოდული: ადამიანური რესურსების მართვა															15	15	
1	კარიერის მართვა	სავალდებულო	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე								5	ნ. ხარაძე; დ.ფირცხალაიშვილი
2	ორგანიზაციული ქცევა	სავალდებულო	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე							5		ნ. ფარესაშვილი
3	კროს-კულტურული მენეჯმენტი	სავალდებულო	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე								5	ნ. ფარესაშვილი
4	გლობალური ტალანტ-მენეჯმენტი	სავალდებულო	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე							5		ნ. ხარაძე; დ.ფირცხალაიშვილი
5	მოლაპარაკებების მართვის ხელოვნება და ეთიკა	სავალდებულო	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე							5		ნ. ფარესაშვილი
6	საქმის წარმოება და ოფის მენეჯმენტი	არჩევითი	5	15	30	80	125	მენეჯმენტის საფუძვლები								5	ნ. ფარესაშვილი; ნ. ხარაძე; თ. ღამბაშიძე
7	ლიდერობა - მართვის ხელოვნება	არჩევითი	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე									ნ. ხარაძე; ე. გულუა
დამატებითი პროგრამა: სულ 60 კრედიტი (სტუდენტი ირჩევს ნებისმიერ დამატებით პროგრამას)											10	10	10	10	10	10	
სულ: 240 კრედიტი									30	30	30	30	30	30	30	30	

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა
დამატებითი პროგრამა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის

№№	სასწავლო კურსის სახელწოდება	სტატუსი	ECTS	სტუდენტის საათობრივი დატვირთვა				სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობა	სწავლების სემესტრი								ავტორი / ავტორები
				საკონტაქტო		დამოუკიდებელი	სულ		1	2	3	4	5	6	7	8	
				ლექცია	სემინარი/ პრაქტიკული												
1	ფინანსური აღრიცხვა	სავალდებულო	10	30	60	160	250	შესავალი ფინანსურ აღრიცხვაში				10					ლ. საბაური
2	მენეჯმენტის საფუძვლები	სავალდებულო	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე			5						დ. ნარმანია; ე. ჩოხელი
3	მარკეტინგი 1	სავალდებულო	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე					5				ნ. თოდუა
4	მარკეტინგი 2	სავალდებულო	5	15	30	80	125	მარკეტინგი 1						5			ნ. თოდუა
5	საერთაშორისო მარკეტინგი	სავალდებულო	5	15	30	80	125	მარკეტინგი 1							5		ნ. თოდუა
6	ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრები	სავალდებულო	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე			5						ა. ჩუთლაშვილი; ბ. ბარბაქაძე
7	კორპორაციათა ფინანსები	სავალდებულო	5	15	30	80	125	ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრები					5				ბ. ბარბაქაძე
8	საჯარო ფინანსები	სავალდებულო	5	15	30	80	125	ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრები						5			მ. ჩიკვილაძე; ი. არჩვაძე
9	ოპერაციათა მენეჯმენტი	სავალდებულო	5	15	30	80	125	მენეჯმენტის საფუძვლები								5	ე. ჩოხელი; ბ. რამიშვილი
10	ადამიანური რესურსების მართვა	სავალდებულო	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე							5		ნ. პაიჭაძე; ნ. ხარაძე

11	საერთაშორისო ბიზნესი	არჩევითი	5	15	30	80	125	ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები (10 კრედიტი - ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისთვის ან 5 კრედიტი ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისთვის)								5	თ. შენგელია; უ. სამადაშვილი; ხ. ბერიშვილი
12	საერთაშორისო ბიზნესის მართვა	არჩევითი	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე									ხ. ბერიშვილი
13	კროს-კულტურული ურთიერთობები საერთაშორისო ბიზნესში	არჩევითი	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე									თ. შენგელია; ხ. ბერიშვილი; ბ. გასვიანი
სულ: 60 კრედიტი											10	10	10	10	10	10	

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა
დამატებითი პროგრამა სხვა ფაკულტეტის სტუდენტებისათვის

№№	სასწავლო კურსის სახელწოდება	სტატუსი	ECTS	სტუდენტის საათობრივი დატვირთვა				სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობა	სწავლების სემესტრი								ავტორი / ავტორები
				საკონტაქტო		დამოუკიდებელი	სულ		1	2	3	4	5	6	7	8	
				ლექცია	სემინარი/ პრაქტიკული												
1	ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები 1 (ბიზნესის გარემო)	სავალდებულო	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე			5						თ. შენგელია; უ. სამადაშვილი
2	ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები 2 (ბიზნესის ორგანიზაცია)	სავალდებულო	5	15	30	80	125	ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები 1 (ბიზნესის გარემო)				5					თ. შენგელია; უ. სამადაშვილი
3	მენეჯმენტის საფუძვლები	სავალდებულო	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე			5						დ. ნარმანია; ე. ჩოხელი
4	ოპერაციათა მენეჯმენტი	სავალდებულო	5	15	30	80	125	მენეჯმენტის საფუძვლები					5				ე. ჩოხელი; ბ. რამიშვილი
5	შესავალი ფინანსურ აღრიცხვაში	სავალდებულო	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე				5					ლ. საბაური
6	ფინანსური აღრიცხვა	სავალდებულო	5	15	30	80	125	შესავალი ფინანსურ აღრიცხვაში						5			ლ. საბაური
7	მარკეტინგი 1	სავალდებულო	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე					5				ნ. თოდუა
8	მარკეტინგი 2	სავალდებულო	5	15	30	80	125	მარკეტინგი 1						5			ნ. თოდუა
9	ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრები	სავალდებულო	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე							5		ა. ჩუთლაშვილი; ბ. ბარბაქაძე
10	კორპორაციათა ფინანსები	სავალდებულო	5	15	30	80	125	ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრები								5	ბ. ბარბაქაძე

11	საერთაშორისო მარკეტინგი	არჩევითი	5	15	30	80	125	მარკეტინგი 1									ნ. თოდუა
12	ადამიანური რესურსების მართვა	არჩევითი	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე								5	ნ. პაიჭაძე; ნ. ხარაძე
13	ევროკავშირის ბიზნესის გარემო	არჩევითი	5	15	30	80	125	ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები 1 (ბიზნესის გარემო)									დ. მახვილაძე
14	საერთაშორისო ბიზნესი	არჩევითი	5	15	30	80	125	ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები 2 (ბიზნესის ორგანიზაცია)									თ. შენგელია; უ. სამადაშვილი; ხ. ბერიშვილი
15	საჯარო ფინანსები	არჩევითი	5	15	30	80	125	ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრები									მ. ჩიკვილაძე; ი. არჩვაძე
16	მმართველობითი აღრიცხვა I	არჩევითი	5	15	30	80	125	შესავალი ფინანსურ აღრიცხვაში								5	ი. ჭილაძე
17	საერთაშორისო ბიზნესის მართვა	არჩევითი	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე									ხ. ბერიშვილი
18	კროს-კულტურული ურთიერთობები საერთაშორისო ბიზნესში	არჩევითი	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე									თ. შენგელია; ხ. ბერიშვილი; ბ. გასვიანი
სულ: 60 კრედიტი											10	10	10	10	10	10	

პროგრამის ხელმძღვანელის / ხელმძღვანელების / კოორდინატორის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერა _____

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

თარიღი _____ ფაკულტეტის ბეჭედი

დანართი: მოდულის სწავლის შედეგები

მოდულები

1. აღრიცხვა, ანალიზი და აუდიტი
2. მარკეტინგი
3. მენეჯმენტი
4. საჯარო მმართველობა
5. ფინანსები და საბანკო საქმე
6. ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი
7. საერთაშორისო ბიზნესი
8. ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტი
9. გლობალურ გარემოში მენეჯმენტი
10. ადამიანური რესურსების მართვა

მოდულის „აღრიცხვა, ანალიზი და აუდიტი“ სწავლის შედეგები

მოდულის აღრიცხვა, ანალიზი და აუდიტის კურსდამთავრებული:

ცოდნა და გაცნობიერება

- განიხილავს ფინანსურ აღრიცხვას ბასს-სა და ფასს-ს შესაბამისად;
- აღწერს საწარმოს ეკონომიკური საქმიანობის შედეგებში მომხდარი ცვლილებების მიზეზებს; ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩატარების მიზნებსა და ეტაპებს, აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების, შესაბამისი კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების გამოყენების მეთოდებს;
- აყალიბებს მმართველობითი აღრიცხვისა და ეკონომიკური ანალიზის ჩატარების მეთოდოლოგიასა და მეთოდოლოგიას.

უნარები

- აწარმოებს დოკუმენტების ფორმირებას აუდიტის ჩასატარებლად მოპოვებული მტკიცებულებების საფუძველზე;
- ადგენს წარმოების სხვადასხვა ტიპის პირობებში პროდუქციის თვითღირებულების კალკულაციას;
- ამზადებს ინფორმაციას პროფესიული ეთიკის კოდექსით განსაზღვრული ვალდებულებების შესახებ;

- **დამოუკიდებლად ამზადებს** ფინანსურ ანგარიშგებას;
- საწარმოს წინაშე არსებული პრობლემების ანალიზისა და საწარმოს ეკონომიკური მაჩვენებლების გადახრაზე მოქმედი ფაქტორების იდენტიფიცირების საფუძველზე **არჩევს** ადეკვატურ ღონისძიებებს;
- **დამოუკიდებლად ამზადებს** ფინანსურ ანგარიშგებას და ახდენს მის ინტერპრეტაციას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

- მიღებულ ცოდნის საფუძველზე **ახორციელებს** სააღრიცხვო საქმიანობას პროფესიონალი ბუღალტრისა და აუდიტორის ეთიკის პრინციპების დაცვით.

მოდულის „მარკეტინგი“ სწავლის შედეგები

მოდულის მარკეტინგი კურსდამთავრებული:

ცოდნა და გაცნობიერება:

- **განსაზღვრავს** მარკეტინგის ძირითად ცნებებს, ფუნდამენტურ დებულებებს და თანამედროვე კონცეფციებს;
- **აყალიბებს** მარკეტინგის სტრატეგიული დაგეგმვის ეტაპებს და მარკეტინგული გარემოს ძირითად ფაქტორებს;
- **აღწერს** მარკეტინგული კვლევის მეთოდებს, მომხმარებელთა ქცევის განმსაზღვრელ ფაქტორებს, ბაზრის სეგმენტაციის პრინციპებს და კონკურენტულ სტრატეგიებს;
- **მიმოიხილავს** მარკეტინგული კომპლექსის ელემენტებისათვის დამახასიათებელ თავისებურებებს, მარკეტინგის სოციალური პასუხისმგებლობისა და ეთიკის საკითხებს;
- **ხსნის** მარკეტინგულ გარემოში მიმდინარე მოვლენებს კრიტიკული გააზრებისა და ცოდნის უახლესი ასპექტების გათვალისწინებით.

უნარები

- ბიზნესის პრაქტიკაში **იყენებს** მარკეტინგულ მიდგომებს რთული და გაუთვალისწინებელი პრობლემების გადაჭრისათვის;
- **არჩევს** მარკეტინგული კვლევის მეთოდებს, მიზნობრივ სეგმენტებს, პროდუქტის, ფასწარმოქმნის, კომუნიკაციისა და დისტრიბუციის სტრატეგიებს;
- **განაზოგადებს** მარკეტინგულ სიტუაციებს სტანდარტული ან ზოგიერთი უახლესი მეთოდების გამოყენებით;

- აკეთებს სათანადო დასკვნებს, რომლებიც ითვალისწინებს მარკეტინგთან დაკავშირებულ საკითხებს.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

- მარკეტინგულ საქმიანობას წარმართავს ეთიკის ნორმების, სოციალური პასუხისმგებლობისა და მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინებითა და დაცვით.

მოდულის „მენეჯმენტი“ სწავლის შედეგები

მოდულის მენეჯმენტი კურსდამთავრებული:

ცოდნა და გაცნობიერება

- განიხილავს მენეჯმენტის პრინციპებს, თეორიებსა და კონცეფციებს;
- დეტალურად აღწერს ბიზნესის გარემოს, ბიზნესის ფუნქციონალურ სფეროებში მიმდინარე მოვლენებს და ბიზნეს პროცესებს;
- აანალიზებს მენეჯმენტთან დაკავშირებულ ეფექტიან და ინოვაციურ ინსტრუმენტებს, სტრატეგიული დაგეგმვისა და ორგანიზაციული მოწყობის, მართვის სისტემის დანერგვისა და შედეგების შეფასების საფუძვლებს.

უნარები

- მონაწილეობს მენეჯმენტთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისა და მათი გადაჭრის გზების შემუშავებაში;
- შეიმუშავებს საჭირო ინფორმაციის მოძიებისა და მონაცემთა დამუშავების საფუძველზე, მმართველობითი სფეროსთვის დამახასიათებელი პრაქტიკულ პროექტს/ნაშრომს;
- აყალიბებს მენეჯმენტთან დაკავშირებულ არგუმენტირებულ დასკვნებს და წარუდგენს დაინტერესებულ მხარეებს შესაბამისი ფორმებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

- წარმართავს მენეჯმენტთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრას სოციალური პასუხისმგებლობის გათვალისწინებით.
- ახდენს მენეჯმენტთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღებას ეთიკური ღირებულებების ფარგლებში.
- ორიენტირებულია საკუთარი და სხვების უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე.

მოდულის „საჯარო მმართველობა“ სწავლის შედეგები

მოდულის საჯარო მმართველობა კურსდამთავრებული:

ცოდნა და გაცნობიერება

- **განიხილავს** საჯარო მმართველობის პრინციპებს, თეორიებსა და მოდელებს, ადმინისტრაციული ორგანოების ორგანიზაციული მოწყობისა და საქმიანობის ფორმებს, საჯარო მმართველობის ინსტიტუციურ, სამართლებრივ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ საფუძვლებს;
- **დეტალურად აღწერს** საჯარო მმართველობის ყველა დონეზე (ეროვნულ, სექტორულ, ორგანიზაციულ) სტრატეგიული დაგეგმვისა და მართვის კოორდინაციისთვის აუცილებელ პროცესებს, ინდიკატორებს, ანგარიშვალდებულებებს;
- **განსაზღვრავს** საჯარო მმართველობასთან დაკავშირებულ ინოვაციურ ინსტრუმენტებს, მართვის ეფექტური სისტემის დანერგვის, მომსახურების/საზოგადოებრივი სიკეთის მიწოდების საფუძვლებს.

უნარები

- **მონაწილეობს** საჯარო მმართველობის სფეროსთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისა და მათი გადაჭრის გზების შემუშავებაში;
- **შეიმუშავებს** მმართველობითი სფეროსთვის დამახასიათებელ პრაქტიკულ პროექტს/ნაშრომს, საჭირო ინფორმაციის მოძიებისა და მონაცემთა დამუშავების საფუძველზე;
- **წარუდგენს** დაინტერესებულ მხარეებს, შესაბამისი ფორმებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, საჯარო მმართველობის სფეროსთან დაკავშირებულ არგუმენტირებულ დასკვნებს.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

- **ითვალისწინებს** ეთიკური და პროფესიული ქცევის ღირებულებებს საჯარო მმართველობის საქმიანობასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრისას;
- **მოქმედებს** საჯარო საქმიანობასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების რეალიზაციისას კონსტიტუციის, დემოკრატიული პრინციპებისა და ადამიანის უფლებების დაცვის ფარგლებში;
- **ორიენტირებულია** საკუთარი და სხვების უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე.

მოდულის „ფინანსები და საბანკო საქმე“ სწავლის შედეგები

მოდულის ფინანსები და საბანკო საქმის კურსდამთავრებული:

ცოდნა და გაცნობიერება

- აყალიბებს ფინანსების მართვისა და საბანკო საქმიანობასთან დაკავშირებულ ძირითადი თეორიებს და პრინციპებს;
- აღწერს ფინანსების მართვისა და საბანკო საქმიანობასთან დაკავშირებულ მოვლენებს და ფაქტებს კრიტიკული გააზრებისა და ცოდნის უახლესი ასპექტების გათვალისწინებით.

უნარები

- იყენებს ფინანსებისა და საბანკო საქმისთვის დამახასიათებელ თეორიულ და პრაქტიკულ სიტუაციებს რთული და გაუთვალისწინებელი პრობლემების გადაჭრისათვის;
- აანალიზებს ფინანსების მართვისა და საბანკო საქმიანობასთან დაკავშირებულ სიტუაციებს სტანდარტული ან ზოგიერთი უახლესი მეთოდების გამოყენებით;
- აკეთებს სათანადო დასკვნებს, რომლებიც ითვალისწინებს ფინანსების მართვასა და საბანკო საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებს.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

- წარმართავს ფინანსებისა და საბანკო საქმის განვითარებაზე ორიენტირებულ საქმიანობას ეთიკის პრინციპების დაცვით.

მოდულის „ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი“ სწავლის შედეგები

მოდულის „ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი“ კურსდამთავრებული:

ცოდნა და გაცნობიერება

- განმარტავს ტურიზმისა და მასპინძლობის არსს, კონცეპტუალურ მიდგომებსა და ფუნდამენტურ პრინციპებს, ძირითად დეფინიციებს, განვითარების კანონზომიერებებს და ტენდენციებს, განვითარებაზე მოქმედ სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ ფაქტორებს;
- აღწერს ტურიზმის ინდუსტრიის ეკონომიკურ ასპექტებს, დარგის ეკონომიკურ მნიშვნელობას და ეკონომიკაზე ზეგავლენის თავისებურებებს საერთაშორისო, ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე, ტურისტულ მოთხოვნებზე და მიწოდებაზე მოქმედ ფაქტორებს, ტურისტული დანიშნულების ადგილის მდგრადობის და კონკურენტუნარიანობის დეტერმინანტებს;
- განსაზღვრავს ტურიზმის ბიზნესის მიმართულებების ორგანიზაციის, დაგეგმვის, განვითარების და მენეჯმენტის თავისებურებებს, საოჯახო ტურიზმის ბიზნესში მოქმედ

სუბიექტებს, მათ მიერ მომსახურების წარმოების, ხარისხის უზრუნველყოფისა და მცირე ბიზნესის რისკების მართვის მნიშვნელობას, მომხმარებელთა სეგმენტაციის და ბრენდინგის სპეციფიკას.

უნარები

- **იყენებს** თეორიულ და კონცეპტუალურ მიდგომებს პრაქტიკულ საკითხებთან მიმართებაში და ბიზნეს-გეგმების შედგენაში, რომლებიც უკავშირდება ტურისტული დანიშნულების ადგილების, ტურისტული ბიზნესის განვითარებას;
- **აფასებს** ტურიზმის ინდუსტრიაში სახელმწიფო და კერძო სექტორის ჩართულობის და თანამშრომლობის საკითხების ფუნდამენტურ ასპექტებს, ბაზარზე მიმდინარე ტენდენციებს, ტურიზმის ინდუსტრიის განვითარების პოლიტიკას, ტურიზმის ზეგავლენას გარემოზე, მენეჯერისა და მენეჯმენტის როლს ბიზნესის წარმოებაში;
- **აანალიზებს** ტურიზმისა და მასპინძლობის ორგანიზაციებში მმართველობით კონცეფციებს და ინსტრუმენტებს, ტურიზმსა და მის სექტორებში ბიზნესის მართვაში პრობლემების გამომწვევ მიზეზებს.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

- **იღებს** პასუხისმგებლობას სამუშაო გარემოში საქმიანობის წარმართვაზე და რეკომენდაციების შემუშავებაზე;
- **წარმართავს** სწავლას დამოუკიდებლად მიღებული ცოდნის საფუძველზე, აკადემიური პატიოსნებისა და ეთიკის პრინციპების დაცვით.

მოდულის „საერთაშორისო ბიზნესი“ სწავლის შედეგები

მოდულის საერთაშორისო ბიზნესი კურსდამთავრებული:

ცოდნა და გაცნობიერება

- **განსაზღვრავს** საერთაშორისო ბიზნესის გარემოს ფაქტორებს, მათი იდენტიფიცირებისა და შეფასების საფუძველზე;
- **აღწერს** საერთაშორისო ბიზნესის ფაქტორებს, ორგანიზაციის ფუნქციონირების სფეროში მიმდინარე დამაკავშირებელ პროცესებს;
- **განიხილავს** საერთაშორისო ბიზნესის საქმიანობასთან დაკავშირებულ ორგანიზაციულ, სოციოკულტურულ და უსაფრთხოების როლის განვითარების თავისებურებას;

- **ხსნის** ბიზნესისთვის მისი მაკრო, მეზო და ბიზნესის გარემოს როგორც მთლიანი სისტემის როლს ლოკალური რეგიონული დონეების წარმოდგენით.

უნარები

- **აანალიზებს** საერთაშორისო ბიზნესის სფეროში ორგანიზაციულ და კროს-კულტურულ ურთიერთობებს და მიმდინარე პროცესებზე მოქმედ ფაქტორებს;
- **ახდენს** საერთაშორისო ბიზნესის სფეროში არსებული ძირითადი პრობლემების იდენტიფიკაციას და ერთმანეთთან შედარებას;
- **შეიმუშავებს** ორგანიზაციაში არსებული პრობლემების შესახებ სათანადო დასკვნებს, საერთაშორისო ბიზნესის მარეგულირებელი კონვენციებისა და სამართლებრივი ნორმების მოძიების, კომენტარებისა და ანალიზის საფუძველზე.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

- **ადგენს** საერთაშორისო ბიზნესის ცოდნის საფუძველზე საკუთარი შემდგომი სწავლის საჭიროებებს, აგრეთვე პროფესიული განვითარების დაგეგმვას და განხორციელების გზებს.

მოდულის „ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტი“ სწავლის შედეგები

მოდული ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტი კურსდამთავრებული:

ცოდნა და გაცნობიერება

- **განიხილავს** ორგანიზაციებში ბიზნესის მართვის ავტომატიზაციის მიზნით საინფორმაციო ტექნოლოგიებს, მონაცემების კომპიუტერული დამუშავების პრინციპებსა და მეთოდებს;
- **დეტალურად აღწერს** ბიზნესის გარემოში მიმდინარე მოვლენებს და ფაქტებს თანამედროვე ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით;
- **აანალიზებს** ორგანიზაციებში მონაცემთა ელექტრონულ დამუშავებასთან და საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემებთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრის გზებს.

უნარები

- **ახდენს** ორგანიზაციებში მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემების პრაქტიკაში გამოყენებას;
- **იყენებს** თანამედროვე საკომუნიკაციო და საინფორმაციო ტექნოლოგიებს ბიზნესის მონაცემებისა და ინოვაციური ბიზნესის მოდელების ანალიზისას;
- **შეიმუშავებს** ბიზნესის ანალიტიკურ პროექტს უახლესი კვლევების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე Excel-ისა და Access-ის პროგრამული პაკეტების გამოყენებით.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

- **აფასებს** ორგანიზაციის სოციალური პასუხისმგებლობისა და ბიზნეს ეთიკის ნორმების/პრინციპების მნიშვნელობას;
- **ადგენს** საკუთარი სწავლის პროცესისა და პროფესიული განვითარების სამოქმედო გეგმას იდენტიფიცირებული საჭიროებების შესაბამისად.

მოდულის „გლობალურ გარემოში მენეჯმენტი“ სწავლის შედეგები

მოდულის გლობალურ გარემოში მენეჯმენტი კურსდამთავრებული:

ცოდნა და გაცნობიერება

- **აღწერს** სტრატეგიული მენეჯმენტის ინსტრუმენტებს, შიგა და გარე გარემოში მიმდინარე ცვლილებებს;
- **განიხილავს** გლობალური პროცესების გავლენას ორგანიზაციულ ქცევაზე, პერსონალის იდენტიფიცირების სხვადასხვა მახასიათებლებს.

უნარი

- **ახდენს** სტრატეგიული ალტერნატივების დაგეგმვას, შედარებას და ოპტიმალური სტრატეგიის შერჩევას;
- **აწარმოებს** კომპანიის მომარაგების სტრატეგიის დაგეგმვას და ნეოლოგისტიკის კონცეფციის ჩარჩოში გადაწყვეტილების მისაღებად ინფორმაციის მოპოვებას, დალაგებას, ანალიზსა და სინთეზს;
- **ამზადებს** დასკვნებს შედეგებზე დაყრდნობით;
- **იყენებს** მართვის თანამედროვე მეთოდებს ორგანიზაციაში ჰარმონიული გარემოს შექმნის, პერსონალის კმაყოფილების მიღწევის მიზნით.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

- **ადგენს** არგუმენტირებულ გადაწყვეტილებებს და ეწევა განსახორციელებელი ღონისძიებების დაგეგმვას;
- მიღებული ცოდნის საფუძველზე **აყალიბებს** საკუთარ მოსაზრებებს.

მოდულის „ადამიანური რესურსების მართვა“ სწავლის შედეგები

მოდულის ადამიანური რესურსების მართვა კურსდამთავრებული:

ცოდნა და გაცნობიერება

- განსაზღვრავს ორგანიზაციებში ტალანტ მენეჯმენტზე მოქმედი ფაქტორებს და განიხილავს ადამიანური რესურსების ეფექტიანი მართვასთან დაკავშირებულ საკითხებს;
- აღწერს ადამიანური რესურსების მართვის გავლენას ორგანიზაციულ ქცევაზე, ახდენს პერსონალის იდენტიფიცირებას სხვადასხვა მახასიათებლების გამორკვევის საფუძველზე;
- განასხვავებს სხვადასხვა კულტურის წარმომადგენელ თანამშრომელთა კულტურის: ენობრივ, რელიგიურ, ეთნიკურ და სხვა სახის მახასიათებლებს.

უნარი

- შეიმუშავებს და გეგმავს ადამიანური რესურსების მოზიდვის, შენარჩუნებისა და კარიერის მართვის სტრატეგიას;
- ადამიანური რესურსების მართვის თანამედროვე მეთოდების გამოყენებით, პერსონალის კმაყოფილების მიღწევის ფონზე, უზრუნველყოფს ორგანიზაციაში ჰარმონიულ გარემოს;
- აყალიბებს საკუთარ მოსაზრებებს მყარი არგუმენტების საფუძველზე;
- ახდენს სამართლიანი გადაწყვეტილების ფორმულირებას, მიღებას და განსახორციელებელი ღონისძიებების დაგეგმვას.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

- ადგენს საკუთარი და სხვათა უწყვეტი პროფესიული განვითარების სამართლიან პოლიტიკას.

**დამატებითი სპეციალობა ძირითადი სპეციალობის „ეკონომიკა“ და დამატებითი სპეციალობა სხვა
ფაკულტეტის სტუდენტებისათვის პროგრამის სწავლის შედეგები**

**დამატებითი სპეციალობა ძირითადი სპეციალობის „ეკონომიკა“ და დამატებითი სპეციალობა სხვა
ფაკულტეტის კურსდამთავრებული:**

ცოდნა და გაცნობიერება

- **აღწერს** ბიზნესის მართვის ძირითად თეორიებს, კონცეფციებს და ბიზნესის გარემოზე მოქმედ ფაქტორებს;
- **განიხილავს** ბიზნესის გარემოში მიმდინარე მოვლენებს, თავისებურებებს, ფაქტებს კრიტიკული გააზრებისა და ცოდნის უახლესი ასპექტების გათვალისწინებით.

უნარები

- **იყენებს** ბიზნესის საქმიანობისათვის დამახიათებელ თეორიულ და პრაქტიკულ მიდგომებს ორგანიზაციების წინაშე არსებული პრობლემების გამოვლენისა და გადაჭრისათვის;
- **კვლევის** სტანდარტული აპრობირებული და თანამედროვე მეთოდების გამოყენებით **აანალიზებს** ბიზნესის სიტუაციებს დასაბუთებული დასკვნებისა და არგუმენტირებული წინადადებების მოსამზადებლად.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

- **ადგენს** საკუთარი შემდგომი სწავლის საჭიროებებს, აგრეთვე, პროფესიული განვითარების დაგეგმვისა და განხორციელების გზებს.